

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 19 სექტემბრის

დადგენილება №2554

ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე
შემუშავებული მოდიფიცირებული
პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განხორციელდეს ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 12 აგვისტოს №2544 დადგენილებით, ავტორიზაციის მიზნით, დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში – „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“ და დამტკიცდეს მოდიფიცირებული სახით.

დადგენილებას თან ერთვის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 19 სექტემბრის № 2554 დადგენილების დანართი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს ბატონ არჩილ ფრანგიშვილს

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის
გია არაბიძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე განსახორციელებელ პროგრამაში, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის 2017 წლის 12 აგვისტოს #2544 დადგენილებით, „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის პროფესიული პროგრამების ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, განხორციელდა რიგი ცვლილებები, რამაც გამოიწვია მისი მოდიფიცირების აუცილებლობა. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. დაშვებული მექანიკური შეცდომის გამო, პროგრამას რომლის სახელი იყო „ელექტროობა“ შეეცვალა სახელი და გახდა „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“.
2. პროგრამის თავფურცელის სრულყოფა, დაემატა თარიღი და ქალაქი;
3. პროგრამაში არსებული ყველა პუნქტის მორგება / ადაპტირება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებულ ფორმასთან, კერძოდ ახლებურად ჩამოყალიბდა პროგრამის 14 პუნქტების შინაარსი;
4. მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით სასწავლო გეგმის კორექტირება, კერძოდ 17 მოდულმა გადაინაცვლა 49 კვირაში;
5. პროგრამის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.
6. ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების შესაბამისად პროგრამაში მოხდა ორი მოდულის ცვლილება: 1. ინფორმაციული წიგნიერება- 1 ; 2. პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად, მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“, პროგრამის ახალ რედაქციას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის

დეკანი, პროფესორი

18.09.2017.

გ. არაბიძე



გია არაბიძე